კრიზისული სიტუაციების გაშუქება

საჭიროებათა კვლევა



MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Hedayah
countering violent extremism

კრიზისული სიტუაციების გაშუქება

საჭიროებათა კვლევა

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Hedayah
countering violent extremism

მკვლევარები:

ლია დეკანაძე, გიორგი რიჟვაძე

ავტორები:

ქეთი მსხილაძე, თამარ კინწურაშვილი

რეკომენდაციები შემუშავდა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, შემდეგი შემადგენლობით:

გელა მთივლიშვილი, *პანკისის სათემო რადიო*
ნანა ბიგანიშვილი, *საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია*
ბათუ ქუთელია, *საქართველოს ატლანტიკური საბჭო*
ეკა ჭითანავა, *ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი*
თინა ხიდაშელი, *სამოქალაქო იდეა*
ნოდარ ტანგიაშვილი, *აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი*
გელა ბოჩიკაშვილი, *ონ.ჯი*
გიორგი გოგუაძე, *ტერორიზმის კვლევის ცენტრი*

კვლევა მედიის განვითარების ფონდმა პროექტის „ნარატივების რადიკალიზაციის პრევენცია და მათზე რეაგირება საქართველოში“ ფარგლებში მოამზადა, რომელიც ფონდ ჰიდაიასა და ევროკავ-შირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები, მიგნებები და რეკომენდაციები ეკუთვნით ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ჰიდაიასა და ევროკავშირის პოზიციად.

შესავალი

მედიის განვითარების ფონდმა პროექტის „ნარატივების რადიკალიზაციის პრევენცია და მათზე რეაგირება საქართველოში“, რომელსაც ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის (CVE) საერთაშორისო ცენტრის ჰიდაიას მხარდაჭერით ახორციელებს, ჩაატარა საჭიროებათა კვლევა. კვლევის მიზანი იყო ტერორისტული აქტების, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და სხვა კრიზისული ვითარებების გაშუქების დროს არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, როგორც ინფორმაციაზე წვდომის, ასევე მედია გაშუქების მხრივ და კვლევის მიგნებების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია ითვალისწინებდა პირისპირ ინტერვიუს სახით როგორც მედიის წარმომადგენლების, ასევე ხელისუფლების შესაბამისი უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციის სამსახურების წარმომადგენლების გამოკითხვას, რათა რეკომენდაციების შემუშავების პროცესში პრობლემების გადაჭრის ხედვისას ორივე მხარის პოზიცია ყოფილიყო გათვალისწინებული. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კომუნიკაციის პრობლემის გამო, რაც მხოლოდ წერილობითი მწირი ინფორმაციის მოწოდებით შემოიფარგლა, ინტერვიუს დიზაინი ნაწილობრივ შეიცვალა. მედიის და ხელისუფლების სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურების საქმიანობის შესაფასებლად დამატებით გამოიკითხნენ მედიის, უმცირესობების საკითხების, უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტები.

პროექტი, რომელიც ჰიდაიას და ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება, მიზნად ისახავს ქართული მედიასაშუალებების, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების შესაძლებლობების გაძლიერებას ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე ეფექტიანი რეაგირებისა და რადიკალიზაციის პრევენციის გზით, რა დროსაც ეფექტიანი კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, მთავარ მიგნებებს, კვლევის მონაცემებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც სხვადასხვა აქტორების ჩართულობით სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავდა.

სარჩევი

	მეთოდოლოგია	5
	მთავარი მიგნებები	7
1.	მედია რეგულაციები და სარედაქციო პოლიტიკა	9
2.	გაშუქების პრაქტიკა	14
3.	გაშუქების ხარისხი	20
4.	სახელმწიფო უწყებების რეგულაციები და მექანიზმები: კომუნიკაციის პროტოკოლები, მედიასთან ურთიერთობის ფორმატები	23
5.	რეკომენდაციები	30
	დანართები	34

მეთოდოლოგია

საჭიროებათა კვლევა თვისებრივ მეთოდს ეყრდნობა და პირისპირ ინტერვიუს ფორმით განხორციელდა.

კითხვარი. ძალადობრივი ექსტრემიზმისა და სხვა კრიზისული ვითარებების გაშუქების დროს მედიასა და სტრატეგიულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს შორის არსებული კომუნიკაციის პრობლემების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შემუშავდა კითხვარი, რომელიც არსებული პოლიტიკის, რეგულაციების და პრაქტიკაში მათი დანერგვის საკითხებს შეეხებოდა. კერძოდ, კითხვარი მოიცავდა შემდეგ ბაზისურ საკითხებს:

მედია	ხელისუფლება
რეგულაციები: სარედაქციო პოლიტიკა, ეთიკის კოდექსები და ა.შ.	რეგულაციები და მექანიზმები: კომუნიკაციის პროტოკოლები, მედიასთან ურთიერთობის ფორმატები
პრაქტიკა	პრაქტიკა

კითხვარი ღია და სტრუქტურირებული შეკითხვებისგან შედგებოდა.

სუბიექტები. კვლევის მიზნების საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის ორი სუბიექტი:

1. მედიის წარმომადგენლები (19 ჟურნალისტი: ეროვნული დაფარვის ტვ, რეგიონული მედია, ონლაინ და საერთაშორისო მედია – იხ. დანართი 1.)
2. სტრატეგიულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ნუსხა მთავრობის დადგენილების[1] საფუძველზე შეირჩა, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის საკითხებზე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს. ინტერვიუში მონაწილეობის თხოვნით

[1] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობა, „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“, 14 სექტემბერი, 2018, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4325601?publication=0

კითხვარი უწყებათაშორისი კომისიის 7 წევრ უწყებას, ასევე საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ს, საქართველოს დაზვერვის სამსახურსა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, ჯამში სულ 11 უწყებას გაეგზავნა (იხ. დანართი #2).

ვინაიდან საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან პირისპირ ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა, ხოლო კითხვარზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წერილობითი პასუხი არასრული იყო, როგორც საჯარო უწყებების საქმიანობის, ასევე მედია გაშუქების შეფასებისთვის საჭირო გახდა კვლევის დიზაინში ცვლილებების შეტანა. როგორც მედია გაშუქების, ასევე ხელისუფლების სტრატეგიული კომუნიკაციების საქმიანობის შესაფასებლად დამატებით ინტერვიუები მედიის, უმცირესობების საკითხების, უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტებთან ჩატარდა, რომელშიც სულ 11 რესპონდენტი მონაწილეობდა (იხ. დანართი 3).

2020 წლის იანვარ-მარტში პირისპირ ინტერვიუს ფორმით სულ 30 ადამიანი გამოკითხა.

მთავარი მიგნებები

კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- კრიზისული ვითარების გაშუქების შიდასარედაქციო გზამკვლევის არარსებობა, უმეტესად, სატელევიზიო მედიაში შეიმჩნევა. კრიზისების გაშუქებისას სატელევიზიო ჟურნალისტები პრაქტიკაში და ტრენინგებზე მიღებულ პირად გამოცდილებას ეყრდნობიან და შიდასარედაქცო კონსულტაციას გადიან.
- სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლები უფრო მეტად ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპებს იცნობენ, ვიდრე მაუწყებელთა ქცევის კოდექსს.
- ჟურნალისტთა უმეტესობა არ იცნობს საქართველოს მთავრობის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც კრიზისების მართვის მიმართულებით ხელისუფლების პოლიტიკას განსაზღვრავს.
- მედიების უმეტესობას არ ჰყავს სპეციალიზებული ჟურნალისტი ტერორიზმის, რადიკალიზაციის ან ძალადობრივი ექსტრემიზმის გაშუქების მიმართულებით, რასაც, ძირითადად, სათანადო ადამიანური რესურსის არარსებობით ხსნის.
- მედიის მიერ კრიზისული ვითარების/ანტიტერორისტული ოპერაციების გაშუქებაში ძირითადი პრობლემები ცოდნის დეფიციტი, სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა და თემატური სპეციალიზაციის არარსებობაა.
- კრიზისული ვითარებების, ანტიტერორისტული ოპერაციების დროს მედიისთვის ყველაზე სერიოზული პრობლემა ოფიციალური უწყებებიდან ინფორმაციის ვერმიღებაა. ჟურნალისტთა უმრავლესობა პირადი კონტაქტების და ალტერნატიული წყაროების მეშვეობით ცდილობს ინფორმაციის მოპოვებას.
- ინფორმაციის მოპოვების პრობლემას ჟურნალისტები ანტიტერორისტულ ოპერაციებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების დროსაც აწყდებიან. ერთი მხრივ, საგამოძიებო უწყებები აცხადებენ, რომ საქმეს გრიფით საიდუმლო ადევს და ამის გამო გამოძიების დეტალებს ვერ გაამჟღავნებენ, მეორე მხრივ, საქმის მასალები სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიაში ხვდება.
- სამაუწყებლო მედიას მიაჩნია, რომ ახალი ამბების სპეციფიკა არ იძლევა კრიზისული ვითარებების სიღრმისეული გაშუქების შესაძლებლობას. საპირისპირო მოსაზრება აქვს ონლაინ მედიას, რომელიც მიიჩნევს, რომ სიღრმისეულ გაშუქება აუცილებელია.
- ჟურნალისტთა უმეტესობა სამართალდამცავებთან თანამშრომლობას დასაშვებად მხოლოდ დანაშაულის შეტყობინების კუთხით მიიჩნევს. ფიქრობენ, რომ სხვა შემთხვევაში თანამშრომლობა მათ პროფესიულ სანდოობას დააყენებს ეჭვქვეშ.

- სახელმწიფო უწყებებს, დიდი ალბათობით, არა აქვთ შემუშავებული შიდაუწყებრივი სტრატეგიული კომუნიკაციის გზამკვლევი. შესაბამისად, უცნობია, კრიზისული ვითარებების დროს რაიმე გაწერილი შიდა პროცედურით მოქმედებენ, თუ სპონტანურად, ვითარებიდან გამომდინარე.
- სუს-ის ადმინისტრაციის დებულება ისეთ საკითხებსაც მოიცავს, რომელიც სარედაქციო საკითხებში ჩარევის ნიშანს შეიცავს. კერძოდ, სუს-ის კომპეტენციად, საზოგადოებრივ მაუწყებელთან და კერძო სამაუწყებლო კომპანიებთან ერთად, ერთობლივი სატელევიზიო პროექტების შემუშავებაა განსაზღვრული.
- არ არის შექმნილი სახელმწიფო უწყებებსა და არასახელმწიფო აქტორებს (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი) შორის თანამშრომლობის მუდმივი ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ინფორმაციის რეგულარული გაცვლა და აქტუალური საკითხების განხილვა მოხდებოდა. ამ ორ მხარეს შორის კომუნიკაციას, ძირითადად, ერთჯერადი ხასიათი აქვს.
- გამოიკვეთა ასევე მოსაზრება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს-ი) მხოლოდ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ეგრეთ წოდებულ „გონგოებთან“ თანამშრომლობს და ეს ილუზორული თანამშრომლობა გამიზნულია სხვებისთვის, მათ შორის უცხოელი პარტნიორებისთვის საჩვენებლად.
- კრიზისული ვითარების/ანტიტერორისტული ოპერაციების დროს სახელმწიფო უწყებების მხრიდან კომუნიკაციაში მთავარი პრობლემები ინფორმაციის დეფიციტი და კოორდინაციის ნაკლებობაა.

1 მედია რეგულაციები და სარედაქციო პოლიტიკა

იმის გასარკვევად, თუ რა რეგულაციებით ხელმძღვანელობენ ჟურნალისტები და როგორია სხვადასხვა მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკა კრიზისული ვითარებების გაშუქებასთან დაკავშირებით, კვლევის მონაწილე ჟურნალისტებს რამდენიმე კითხვა დავუსვით.

რეგულაციები. შეკითხვაზე – **აქვს თუ არა რედაქციას კრიზისული ვითარების გაშუქების გზამკვლევი?** – 18[2]-დან 5-მა მონაწილემ უპასუხა, რომ არა, ხოლო ორმა განაცხადა, რომ მათ ამ საკითხებზე ინფორმაცია არა აქვთ; ერთმა (რუსთავი 2) განაცხადა, რომ ასეთი რეგულაციები შემუშავების სტადიაშია, 3 რესპოდენტი, რომელმაც აღნიშნა, რომ მათ კრიზისების გაშუქების შიდასარედაქციო წესები გაწერილი აქვთ, ძირითადად საერთაშორისო მედიას (AP, Reuters, რადიო თავისუფლება) წარმოადგენდა, ხოლო 4 რესპონდენტი, რომელმაც აღნიშნა, რომ მათ ზოგადი შიდასარედაქციო რეგულაციები და კოდექსები აქვთ, ძირითადად, ონლაინ მედიიდან (ნეტგაზეთი, ბათუმელები, on.ge) იყო და ერთი ტელევიზიიდან (მაესტრო). სამმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ისინი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წესებს და თანმხლებ გაიდლაინებს ეყრდნობიან (პანკისის სათემო რადიო, სამხრეთის კარიბჭე, 1 არხი). შიდასარედაქციო კოდექსების არარსებობა მეტწილად სატელევიზიო მედიის შემთხვევაში გამოვლინდა.

დიაგრამა 1. შიდასარედაქციო რეგულაციები კრიზისების (მათ შორის ტერორიზმის) გაშუქების საკითხებზე



[2] ფრილანსერ ჟურნალისტს ამ შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია.

რადიო თავისუფლების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ რადგან მათი გზამკვლევი საერთაშორისო გამოცდილებას ეყრდნობა, ის სტატიკური დოკუმენტი არ არის და მუდმივად განახლებადია.

შეკითხვაზე – **შიდასარედაქციო რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, რითი ხელმძღვანელობენ კრიზისული სიტუაციების/ტერორისტული აქტების გაშუქებისას?** – ორმა ჟურნალისტური ეთიკის ქარტია დაასახელა, ხოლო უმრავლესობამ (10 ჟურნალისტი) პრაქტიკაში მიღებული პირადი გამოცდილება, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ ტრენინგებზე მიღებული გამოცდილება.

დავით ქაშიაშვილი, ფორმულას ჟურნალისტი: „მკაცრად ფორმალიზებული და წერილობით გაწერილი გაიდლაინები არ გვაქვს, მაგრამ გამოცდილებამ და ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა მოვლენებმა, რომლებიც სავარაუდოდ უკავშირდებოდა ტერორიზმსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს, უფრო მეტი გვასწავლა“.

პრაქტიკაში მიღებულ გამოცდილებასთან ერთად, ჟურნალისტები დაშვებულ შეცდომებზე რეფლექსიასაც ახდენდნენ.

ნათია ტრაპაიძე, მთავარი არხის ჟურნალისტი: „ჩვენი სტანდარტები ჟურნალისტური გამოცდილების შედეგია, რომელიც ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობით გვიგროვდება. ტერორიზმის გაშუქების კუთხით ჩემი სახელმძღვანელოა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია[3], სადაც მგონია, რომ მედიამ ბევრი შეცდომა დავუშვა“.

ერთ-ერთი ჟურნალისტი სინანულით იხსენებს შემთხვევას, როდესაც რესპონდენტის ვინაობა, რომელიც ტერორისტულ დაჯგუფებას ამხელდა, მისივე თხოვნით არ დამალა, მოგვიანებით კი ის მოკლეს:

„დამიკავშირდა და ჩამეწერა ერთი ახალგაზრდა, რომ მან იცოდა, სად იყვნენ ტერორისტები, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს იდეებს იზიარებდნენ. მე მას ვუთხარი, რომ შევცვლიდი სახელს, ხმას, დავბლარავდი მის სახეს, რომ საფრთხე არ შემექმნა მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის. მაგრამ ის იყო აქტივისტი და არ ისურვა ვინაობის დამალვა და რამდენიმე დღის შემდეგ ის მოკლეს. მე დღემდე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ მისი წინააღმდეგობის მიუხედავად არ დავბლარე მისის სახე“.

---

[3] 2017 წლის 21-22 ივნისს, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ანტი-ტერორისტული სპეც.ოპერაცია ჩატარდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ცნობით, ლიკვიდირებულია დანაშაულებრივი ჯგუფის სამი წევრი. ლიკვიდირებულთაგან ერთ-ერთი ახმედ ჩატაევი იყო. სუს-ის ინფორმაციით, ისნის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი პირები საქართველოსა და თურქეთში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებზე ტერორისტულ აქტებს გეგმავდნენ. https://bit.ly/2Nhc1A2 https://bit.ly/2Yk7gfE https://bit.ly/2V79AEK https://bit.ly/2Nfanz8

გარკვეულ შემთხვევებში, კრიზისული ვითარებების გაშუქებისას, შიდასარედაქციო ზეპირი შეთანხმებების და გუნდური სარედაქციო გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკაც დასახელდა:

აკა ზარქუა, ტაბულა: „ზოგადი პრინციპებით და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის შედეგად ჩამოყალიბებული სტანდარტებით ვხელმძღვანელობთ. თვითნებურად ჟურნალისტები არ წერენ ხოლმე ასეთ საფრთხილო თემებზე, ყველაფერი თანმხდება რედაქციასთან, ანალიტიკოსთან, რედაქტორთან“.

შეკითხვაზე – **რამდენად იცნობენ სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლები მაუწყებელთა ქცევის კოდექსს?** – მხოლოდ 2-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ამ დოკუმენტს იცნობს (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაესტრო), თუმცა პირველ და მეორე კითხვაზე პასუხის დროს, არცერთ რესპონდენტს არ აღუნიშნავს, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსს პრაქტიკაში იყენებს. ამასთანავე, აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხად, სატელევიზიო მედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კითხვის დაზუსტება ითხოვა, კერძოდ, მათ აინტერესებდათ, ხომ არ მოიაზრებდა შეკითხვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსს. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსს ჟურნალისტები ნაკლებად იცნობენ.

ამასთანავე სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლები მეტად იცნობენ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპებს, ვიდრე მაუწყებელთა ქცევის კოდექსს[4], რომელიც კანონის საფუძველზე 2009 წელს მიღებული ნორმატიური დოკუმენტია და სავალდებულო ძალა აქვს. ამასთანავე კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლები შეიცავს სპეციალურ რეგულაციებს მაუწყებლის მიერ შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევების, საგანგებო ვითარების გაშუქებასთან დაკავშირებით, ხოლო 53-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები უშუალოდ ტერორიზმის ეთმობა:

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. 53 მუხლი.

3. **ტერორისტის, გამტაცებლის ან მძევლის განცხადება ან მასთან ინტერვიუ არ უნდა გადაიცეს მაუწყებლის სარედაქციო ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე. ინტერვიუს გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს ინფორმაციის გადაცემით მიღებული სარგებლისა და ზიანის შეფასება.**
4. **ტერორისტის ან გამტაცებლის მოთხოვნა ან განცხადება ეთერში უნდა გადაიცეს რედაქტირებული სახით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება.**
5. **მძევლებთან ან ტერორისტებთან/მძევლების ამყვანებთან სატელეფონო ან სხვაგვარმა პირდაპირმა კავშირმა ხელი არ უნდა შეუშალოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებაში და საფრთხე არ უნდა შეუქმნას მძევლების სიცოცხლეს.**

[4] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“, 12 მარტი, 2009 წ. https://cutt.ly/yyl2vxP

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი[5], რომელიც 2006 წელს არის მიღებული, ასევე შეიცავს სპეციალურ თავს საგანგებო მოვლენების გაშუქების შესახებ, სადაც ტერორისტულ აქტებს ცალკე ქვეთავი ეთმობა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი

8. საგანგებო მოვლენები

8.4. ტერორისტული აქტები ტერორისტული აქტები

ოპერატიულად მიაწოდეთ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია ტერორისტული აქტის და მისი შედეგების შესახებ. თავი შეიკავეთ ემოციური და სუბიექტური შეფასებებისაგან. აუდიტორიას მიაწოდეთ ობიექტური ინფორმაცია, რათა მან თავად შეძლოს გარკვევა, ვინ არის დამნაშავე, რა დანაშაულს სჩადის და ვის წინააღმდეგ.

რეკომენდაცია

ტერორისტული აქტის გაშუქების დროს გაითვალისწინეთ, რომ ტერორისტის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს კოდურ სიტყვებს, მოწოდებებს და სხვ., რამაც შეიძლება ვითარება უფრო გაართულოს.

ტერორისტული აქტის გაშუქების დროს, იხელმძღვანელეთ შემდეგი წესებით:

- ტერორისტებისგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება მიმდინარე ან მოსალოდნელ ტერორისტულ აქტს, დაუყოვნებლივ აცნობეთ საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელს ან პროდიუსერს;
- ტერორისტის ან მძევლის პირდაპირი თუ ჩაწერილი განცხადება ან მასთან ინტერვიუ არ გადასცეთ ეთერში საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელის ან პროდიუსერის თანხმობის გარეშე. ასეთი განცხადების ეთერში გადაცემა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება.
- ტერორისტების მოთხოვნები არ გადასცეთ სრული სახით. ჩვეულებრივ, ასეთი მოთხოვნები შემოკლებული ან რედაქტირებული სახით უნდა გავიდეს ეთერში.
- ტერორისტთან თუ ტერორიზმის მსხვერპლთან, ან ორივესთან ერთად, სატელეფონო ან სხვა სახის პირდაპირი კონტაქტის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელი ან პროდიუსერი ჩათვლის, რომ ამით არც ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეშლებათ ხელი ტერორისტებთან კავშირის დამყარებაში და არც მძევლის მდგომარეობა გაუარესდება.
- ხელისუფლების ნებისმიერი მოთხოვნა, შეჩერდეს (უსაფრთხოების თუ სხვა მოსაზრებით) ტერორისტული აქტის შესახებ რაიმე ინფორმაციის ეთერით გადაცემა, დაუყოვნებლივ აცნობეთ საინფორმაციო გადაცემის ხელმძღვანელს.

შეკითხვაზე, თუ რა საკითხებს ფარავს ზეპირი თუ წერილობითი რეგულაციები, რომელთაც ჟურ-ნალისტები პრაქტიკაში იყენებენ, რესპონდენტთა უმეტესობამ კითხვარში მითითებული საკითხები-

[5] საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2006. ქცევის კოდექსი. https://1tv.ge/document/sazogadoebrivi-mautsyeblis-qtsevis-kodeqsi/

დან ტერმინოლოგია და ვიზუალის გამოქვეყნების სტანდარტები გამოჰყო; დასახელდა ასევე ტერორისტების მიერ გავრცელებული ჩანაწერების გაშუქების (6), მსხვერპლთა და ნათესავთა კონფიდენციალობის (6) და პირდაპირი ეთერის (5) საკითხები.

რა საკითხებს ფარავს გაიდლაინები ტერორიზმის/ტერორისტების გაშუქებასთან დაკავშირებით?	
ტერმინოლოგია	13
იმიჯი, ვიზუალი	7
ტერორისტის მიერ გავრცელებული ჩანაწერების გაშუქება	6
მსხვერპლისა და მისი ნათესავების კონფიდენციალობა	6
პირდაპირი ეთერი	5

ჟურნალისტთა უმეტესობა არ იცნობდა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეროვნული სტრატეგიას, რომელიც ამ მიმართულებით ხელისუფლების პოლიტიკას განსაზღვრავს[6].

სპეციალიზებული კორესპონდენტი. შეკითხვაზე, **არის თუ არა რედაქციაში სპეციალიზებული ჟურნალისტი, რომელიც ტერორიზმის, რადიკალიზაციის ან ძალადობრივი ექტრემიზმის გაშუქების მიმართულებით მუშაობს** – მხოლოდ 5-მა რესპოდენტმა (AP, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ფორმულა, მაესტრო) გასცეს დადებითი პასუხი, მედიების უმეტესობაში კი ასეთი სპეციალიზაცია სათანადო ადამიანური რესურსის არარსებობის გამო პრაქტიკულად ვერ ხერხდება.

ტრენინგები. რესპონდენტთა უმრავლესობას (11) გავლილი აქვს ტრენინგები კრიზისული ვითარების გაშუქებაში, ყველაზე ნაკლებს ინკლუზიური გაშუქებისა და მრავალფეროვნების საკითხებში (5).

დიაგრამა 2. ტრენინგები ტერორიზმის გაშუქების, რადიკალიზაციის და ინკლუზიური გაშუქების საკითხებზე



[6] საქართველოს მთავრობა, „ტერორიზმის წინააღდმეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, 23 იანვარი, 2019 წ. https://cutt.ly/6yI2xNv

2 გაშუქების პრაქტიკა

ინფორმაციული ვაკუუმის პრობლემა. პრაქტიკაში არსებული გამოწვევებიდან ჟურნალისტების უმრავლესობამ კრიზისული ვითარებების, ანტიტერორისტული ოპერაციების დროს ოფიციალური უწყებებიდან ინფორმაციის მიღების პრობლემა დაასახელა და აღნიშნა, რომ ინფორმაციული ვაკუუმი, ინტერპრეტაციებისთვის ფართო ასპარეზს ქმნის, რაც ყოველთვის არ არის დაზღვეული შეცდომებისგან და ინფორმაციის ხარისხზე აისახება.

გელა ბოჩიკაშვილი, On.ge: „[ბერი სალოსის[7] ქუჩაზე და პანკისში[8] სპეცოპერაციების დროს] პრიციპში მედია მიტოვებული იყო საკუთარი ინტერპრეტაციების ან იქ მყოფი მოქალაქეების იმედზე... როდესაც მედიას არ სთავაზობ ინფორმაციას, ის ყოველთვის ეძებს ინტერპრეტაციას“.

სოფო მეგრელიძე, AP: „ოფიციალური სტრუქტურები ხშირ შემთხვევაში აგვიანებენ ინფორმაციის გავრცელებას ან საერთოდ უარს ამბობენ მედიასთან თანამშრომლობაზე და მოსახლეობის ინფორმირებაზე. ინფორმაციული ვაკუუმის დროს ჟურნალისტი ყვება იმას, რასაც ხედავს ან ესმის სხვადასხვა წყაროებიდან, რაც გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების საფრთხეს ქმნის.“.

დეა მამისეიშვილი, მაესტრო: „რადგან შესაბამისი უწყებები ირჩევენ, დუმდნენ და არ ილაპარაკონ საჯაროდ კრიზის დროს, მედიის წარმომადგენლებს გვაქვს ვალდებულება, საკუთარი ხერხებით ვეძებოთ ინფორმაცია, რასაც ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებამდე არ მივყავვართ“.

ჟურნალისტთა ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ ხშირად ფაქტის დადასტურებაც სირთულეს წარმოადგენს (არც ადასტურებს, არც უარყოფს – ფორმულა), ან ოფიციალური უწყებები მწირი ინფორმაციით შემოიფარგლებიან (გვაწვდიან მხოლოდ მუხლს, რომლის საფუძველზეც საქმე აღიძრა –

---

7 2017 წლის 21-22 ივნისს, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ანტი-ტერორისტული სპეც.ოპერაცია ჩატარდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ცნობით, ლიკვიდირებულია დანაშაულებრივი ჯგუფის სამი წევრი. ლიკვიდირებულთაგან ერთ-ერთი ახმედ ჩატაევი იყო. სუს-ის ინფორმაციით, ისნის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი პირები საქართველოსა და თურქეთში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებზე ტერორისტულ აქტებს გეგმავდნენ. https://bit.ly/2Nhc1A2; https://bit.ly/2Yk7gfE https://bit.ly/2V79AEK https://bit.ly/2Nfanz8

8 თემირლან მაჩალიკაშვილი 2017 წლის 26 დეკემბერს, სპეცოპერაციის დროს, საკუთარ საძინებელ ოთახში სპეცრაზმმა თავში სასიკვდილოდ დაჭრა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მაჩალიკაშვილს ახმედ ჩატაევის ჯგუფის წევრებთან კავშირში ადანაშაულებდა. https://bit.ly/3aukx9S

ნეტგაზეთი, პანკისის სათემო რადიო). რამდენიმე რესპონდენტის აზრით, ზოგადად სამთავრობო უწყებებში დადგენილი სტანდარტი ჟურნალისტებისთვის პასუხის არიდებაზეა ორიენტირებული.

გიორგი წეროძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი: „ძალოვანი უწყებების თანამშრომლები ყოველთვის ერიდებიან ჟურნალისტებთან კომუნიკაციას, გამომდინარე იქიდან, რომ მათ შეიძლება რაღაც შეცდომა დაუშვან. ეს არის მათი შიდა სტანდარტი. ამიტომ თუ ხდება, პირობითად, ტერაქტი, სადღაც ტყიბულში, აუცილებლად ეცდება ნებისმიერი პოლიციელი, რომ მოიშოროს ჟურნალისტი, იმიტომ, რომ შიდა დირექტივა და რეგულაცია აქვთ ასეთი“.

გელა მთივლიშვილი, პანკისის სათემო რადიო: „ადმინისტრაციულ ორგანოებში უჭირთ იმის გაცნობიერება და არა მხოლოდ უშიშროებას და სპეცსამსახურებს ვგულისხმობ,... რომ ინფორმაცია კი არ უნდა დაგიმალოს და გაგიფილტროს, არამედ სწორად და შეძლებისდაგვარად ამომწურავად მოგაწოდოს“.

საერთაშორისო მედიის რამდენიმე ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ერთი მხრივ, უწყებების შიგნით კომპეტენციები განსაზღვრული არ არის, მეორე მხრივ, ინციდენტების ადგილზე ჟურნალისტებისთვის არც მკაფიო ინსტრუქციები მოქმედებს.

მაკა ანთიძე, როიტერი: „სამწუხაროდ, ბოლო 10 წელი რომ ავიღოთ, პრეს-ცენტრები არ გაწვდიან იმ ინფორმაციას, რომელიც შენ გაინტერესებს... შიგნით უწყებაში არ არის დალაგებული, რა უნდა თქვან, რა არ უნდა თქვან. არის არეული პრეს-ცენტრის და Spokesperson-ის ცნებები“.

ნინო ხარაძე, რადიო თავისუფლება: „ჟურნალისტის მონაწილეობა რა დოზით უნდა შეიზღუდოს იმისთვის, რომ უსაფრთხოება იყოს დაცული, ერთი მხრივ, ჟურნალისტის და მეორე მხრივ, სპეცოპერაციის, ასეთი ინსტრუქციები [ბერი სალოსის ქუჩაზე] რეალურად ჟურნალისტებს არ გვქონია. იქ კონკრეტული პასუხისმგებელი ადამიანი ჟურნალისტებთან არ მოსულა და ამკრძალავი ან დამშვები ინსტრუქციები არ მოუცია“.

კრიზისული ვითარებების გარდა, ჟურნალისტთა უმეტესობამ გამოძიების პროცესში ან გამოძიების დასრულების შემდეგ ინფორმაციის მოპოვების პრობლემაც დაასახელა. „ტაბულას“ ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გამოძიების მასალებს გრიფით საიდუმლო ადევს, სასამართლო პროცესი დახურულია და მათ არ აქვთ შესაძლებლობა ოპერაციის დროს დაშვებულ შეცდომებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიადევნონ თვალი. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად მან ჩატაევის საქმის დახურული პროცესი დაასახელა:

აკა ზარქუა, ტაბულა: „სასამართლო პროცესები დაიხურა, მოწმეები ვიცით ვინ არიან, მაგრამ არანაირი კომუნიკაცია არ გვაქვს მათთან, რადგან საქმის მასალებს დაედო გრიფი. შესაბამისად, ჩვენი წვდომა იქ დაშვებულ შეცდომებზე შეიზღუდა. არადა ცხადია, რომ იქ შეცდომები იქნა დაშვებული, როცა საერთაშორისოდ ძებნილი ტერორისტი შემოდის შენს ქვეყანაში და იმდენი იარაღი აქვს, 18 საათი შეუძლია წინააღმდეგობა გაწიოს, ეს უკვე არის სახელმწიფო

უწყებების პრობლემა. ამ ინტერესიდან გამომდინარე, რომ არ შეილახოს სახელმწიფო უწყებების იმიჯი, ეს ინფორმაცია ძირითადად დამალულია“.

„პანკისის სათემო რადიოს“ ხელმძღვანელმა კი იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ საგამოძიებო მასალები შერჩევითად, ექსკლუზიური ინფორმაციების სახით ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი მედიის ეთერში ხვდება, რაც ხელისუფლების სელექციურ მიდგომაზე მეტყველებს:

გელა მთივლიშვილი, პანკისის სათემო რადიო: „ტერორიზმის საკითხების გაშუქებაზე სრული კარტ-ბლანში აქვს აღებული ტელეკომპანია „იმედს“, რომელიც არის პროსახელისუფებო ტელევიზია... ინფორმაცია, რასაც ისინი აშუქებენ ტელევიზით, არის ამოღებული პირდაპირ სისხლის სამართლის საქმის მასალიდან, რომელზეც არავის არ მიგვიწვდება ხელი და მეტიც, ადვოკატებსაც კი აქვთ გაუთქმელობის ხელწერილი დაწერილი... სასამართლო განხილვები არის დახურული, როგორც ეს იყო ჩატაევთან დაკავშირებული პირების შემთხვევაში და ჩვენ გვიწევს მკითხაობა და მტყუან-მართლის გარჩევა“.

ანუნა ახალაია, TV პირველი: „უწყებები არ გვეუბნებიან რა ეტაპზეა გამოძიება, რა სიახლეებია საქმეში, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მიმდინარეობს გამოძიება“.

ჟურნალისტებმა საკუთარი გამოცდილებიდან ცალკეული მაგალითები დაასახელეს: „ტაბულას“ ჟურნალისტმა ოფიციალური წყაროებით ვერ შეძლო არაოფიციალური წყაროს მიერ საქართველოში ხანგოშვილის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება. „რადიო თავისუფლების“ მცდელობა, სახელმწიფო უწყებიდან მიეღო ინფორმაცია გერმანიაში ხანგოშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით, უშედეგოდ დასრულდა და ის მხოლოდ უცხოურ მედიას დაეყრდნო.

გამოძიება დასრულდა, მაგრამ პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც მედიას პანკისის ოპერაციასთან დაკავშირებით აწუხებს, ბოლომდე არ არის გაცემული.

გელა მთივლიშვილი, პანკისის სათემო რადიო: „ჩვენი წყაროების მეშვეობით თუ რამე მოვახერხეთ, სახელმწიფოს მხარდაჭერით ვერაფერი. იმიტომ, რომ პერსონალურად გაპიროვნებული ჰყავთ ტელეკომპანია „იმედი“, რომელსაც აძლევენ ამ კადრებს იმიტომ, რომ ზუსტად იციან, იქ არ დაისმევა კრიტიკული კითხვა და ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც უნდა ხელისუფლებას და არა სახელმწიფოს“.

სხვა წყაროებთან კომუნიკაცია. შეკითხვაზე, თუ ვის მიმართავენ ჟურნალისტები საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ინფორმაციის ვერმიღების პირობებში, უმრავლესობამ პირადი კონტაქტები (5) და ალტერნატიული წყაროები (5) დაასახელა.

თუ საგამოძიებო უწყებები არ თანამშრომლობენ მედიასთან, გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რა წყაროებზე დაყრდნობით ავსებთ ამ ინფორმაციულ ვაკუუმს?	
პირადი კონტაქტები	5
ალტერნატიული წყაროები	5
ადვოკატები	4
ოჯახის წევრები	3
უფლებადამცველები/მესამე სექტორი/ექსპერტები	3
მხოლოდ სახელმწიფო უწყებები	1

შეკითხვაზე – **აწყდებიან თუ არა კრიზისული ვითარებების გაშუქების დროს ჟურნალისტები პრობლემებს სხვა წყაროების მხრიდან?** – რესპონდენტებმა ნდობის მოპოვების, წყაროების კონფიდენციალობის დაცვის და ღია და გამჭვირვალე სტანდარტებით ურთიერთობის საკითხი გამოჰყვეს:

ნდობის მოპოვება:

ეთერ თურაძე, ბათუმელები: „რადიკალიზაციის დროს რესპოდენტების მხრიდან ადგილი აქვს უნდობლობას და მაღალია მიუღებლობის ხარისხი, შესაბამისად, იქ თუ არ გყავს ნაცნობი პირი, დიდი ალბათობით, ხელცარიელი დაბრუნდები“.

ქეთი თუთბერიძე, საზოგადოებრივი მაუწყებელი: „მაგალითად, პანკისში მე მყავს ჩემი წყაროები... ისინი ასევე ხედავენ ჩემს ანტიისლამოფობიურ განწყობებსაც, რადგან მე სულ ვცდილობ ხაზი გავუსვა, რომ პანკისი არ არის ტერორიზმის ბუდე, როგორც ამას ლავროვი ამბობს ხოლმე, არამედ ეს არის ტერიტორია, საიდანაც რამდენიმე ათობით ადამიანი, მათ შორის ზოგი მოტყუებით, წავიდა სირია-ერაყის ტერიტორიაზე“.

წყაროს დაცვა:

ონიკ კრიკორიანი, ფრილანსერი ჟურნალისტი: „აქ მთავარი საკითხებია ნდობა და წყაროს დაცვა“.

ღია და გამჭვირვალე სტანდარტები:

მაკა ანთიძე, როიტერი: „ვიცავთ სტანდარტებს, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს ის, რასაც გვიყვება და გვეუბნება, შეიძლება იყოს გამოყენებული სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდება“.

რამდენიმე რესპონდენტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პრობლემები ზოგჯერ თავად გასაშუქებელ თემატიკას უკავშირდება. გელა მთივლიშვილი „პანკისის სათემო რადიოდან“ იხსენებს 2015-2016 წლებს, როცა პანკისში შესვლას რამდენიმე თვე ვერ ახერხებდა, მიზეზი კი იმ ჯგუფების აქტივობების გაშუქება იყო, ვინც საქართველოდან სირიაში რეკრუტირების ხელშეწყობას ახდენდა:

გელა მთივლიშვილი, პანკისის სათემო რადიო: „ფიზიკური უსაფრთხოების შემთხვევებიც ყოფილა და რაღაც პერიოდი, მაგალითად, პანკისში ვერ შევდიოდი“.

„ტაბულას“ კორესპონდენტის აკა ზარქუას აზრით, ტერორიზმის ხსენებასთან ერთად რადიკალური ისლამის ხსენება ხშირად ისლამფობიურ კომენტარებს იწვევს.

ბექგრაუნდი/კონტექსტი. შეკითხვაზე – **ტერორისტული აქტის გაშუქებისას ან/და რეპორტაჟის მომზადებისას, რამდენად ხდება კონკრეტული აქტის/მოვლენის ისტორიის ან წინმსწრები საბაბების/მიზეზების კვლევა/ძიება?** – განსხვავებული იყო ტელევიზიებისა და ონლაინ მედიის წარმომადგენელთა პასუხები. ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვების კორესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტზე, რომ „ნიუსის“ სპეფიციფიკა, მათ სიღრმისეული გაშუქების შესაძლებლობას არ აძლევს, ონლაინ მედია და საერთაშორისო სააგენტოები კი, ოპერატიული ინფორმირების შემდეგ, სიღრმისეული გაშუქების აუცილებლობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

თაზო კუპრეიშვილი, ნეტგაზეთი: „წინმსწრები მოვლენების შესწავლა და წარმოჩენა ჩვენი გაშუქების სტანდარტის აუცილებელი ნაწილია, სხვა შემთხვევაში მხოლოდ მშრალი ფაქტები ამომწურავი ვერ იქნება“.

ექსპერტული კონსულტაცია. შეკითხვაზე, თუ რამდენად გადიან ჟურნალისტები ამ თემების გაშუქების დროს კონსულტაციას ეთნიკური/რელიგიური/პოლიტიკური სპეციალიზაციის ექსპერტთან, უმეტესობამ განაცხადა, რომ ასეთ კონსულტაციას გადის, თუმცა ნაწილმა საილუსტრაციო მაგალითად ექსპერტების სტუდიაში რესპონდენტის სახით მოწვევა ან კომენტარის ჩაწერა დაასახელა. რესპონდენტთა მცირე ჯგუფის აზრით, საქართველოში ასეთი ექსპერტების დეფიციტია და თავად უწევს გარკვევა სპეციფიკურ საკითხებში. ონიკ კრიკორიანის აზრით, საქარველოში არ არის დიდი გამოცდილება საერთაშორისო ანტიტერორისტული ქსელის რესურსების გამოყენების, სადაც ჟურნალისტებთან ერთად ანალიტიკოსები და პრაქტიკოსებიც არიან გაერთიანებული.

თავად ექსპერტების თქმით კი, მედიის წარმომადგენლებს მათთვის რჩევისთვის მიუმართავთ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემატიკის გაშუქებისას, ასევე ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, თუმცა უშუალოდ კრიზისული ან ანტი-ტერორისტული აქტის გაშუქებისას – არა.

თანამშრომლობა სამართალდამცავებთან. შეკითხვაზე, **თუ რამდენად თანამშრომლობენ ჟურნალისტები სამართალდამცავებთან ტერორისტების გამოვლენის ან ტერორიზმის პრევენციის კუთხით**, მხოლოდ რესპონდენტთა მცირე რაოდენობამ ისაუბრა სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებაზე. ჟურნალისტთა უმეტესობა თანამშრომლობის შესაძლებლობას მხოლოდ დანაშაულის შეტყობინების კუთხით ხედავს. ერთ-ერთი რესპონდენტი მედიიდან იხსენებს შემთხვევას, როცა 17 წლის გოგონას სირიაში საცოლედ აგზავნიდნენ, რის შესახებაც მათ სამართალდამცავებს რეაგირების მიზნით შეატყობინეს. კიდევ ერთი ჟურნალისტი ასეთი თანამშრომლობის მაგალითად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის იმ საიტების მისამართების მიწოდებას ასახელებს, რომელზეც ISIS-ის მიმართვა ვრცელდებოდა.

დანაშაულის შეტყობინების გარდა, ჟურნალისტთა უმრავლესობა თანამშრომლობას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა, რადგან ეს მათ პროფესიულ სანდოობას დააყენებდა ეჭვქვეშ:

ონიკ კრიკორიანი, ფრილანსერი ჟურნალისტი: „თუ მე ვითანამშრომლებდი პოლიციასთან ჩემი, როგორც სანდო და ნეიტრალური რეპორტიორის სახელი, წაიშლებოდა... თუ ისეთი სიტუაციაა, როცა მე მაქვს ინფორმაცია მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმის შესახებ და დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც უნდა მოხდეს, ცხადია, სამოქალაქო პასუხისმგებლობაა ამის შეტყობინება, შეუტყობინებლობა კი – დანაშაული“.

გელა ბოჩიკაშვილი, on.ge: „სპეცოპერაციის დროს მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა ზუსტად გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით თანამშრომლობით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ის გააშუქოს, რასაც მას მიუთითებენ“.

3 გაშუქების ხარისხი

პრობლემები მედიაგაშუქებაში. ექსპერტებს კითხვა კრიზისული ვითარების/ტერორისტული აქტის მედიის მიერ გაშუქების მხრივ არსებული პრობლემების შესახებაც დაუსვეს. ექსპერტთა პასუხებით შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

1. **ცოდნის დეფიციტი:** ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც რამდენიმე სხვა დასახელებული პრობლემის სათავეა ტერორიზმის, კრიზისების და რადიკალიზაციის საკითხების შესახებ ცოდნის ნაკლებობაა.

   თამთა მიქელაძე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC): „მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენს რეალობაში ტერორიზმის, კრიზისული ვითარების და რადიკალიზაციის პოლიტიკებზე არ არსებობს კრიტიკული ცოდნა არც აკადემიურ სივრცეებსა და არც არასამთავრობო ორგანიზაციებში, მით უფრო არც მედიებში“.

2. **ღრმა, კომპეტენტური ანალიზის ნაკლებობა:** ეს პრობლემა პირველი პრობლემიდან, ცოდნის ნაკლებობიდან, გამომდინარეობს. ექსპერტების აზრით, მედიაში სიღრმისეული ანალიზის დეფიციტია. მედიას სპონტანურად უხდება მუშაობა, ხშირად, შემჭიდროვებულ დროში, რისი შედეგიც მოვლენების ზედაპირული გაშუქებაა.

   ბათუ ქუთელია, საქართველოს ატლანტიკური საბჭო: „მოსახლეობას სჭირდება კომპლექსურ შეკითხვებზე პასუხი... ღრმა კომპეტენტური ანალიზი, თუ რა ცვლილებებს გამოიწვევს [მოვლენა] სამომავლო სტრატეგიულ პერსპექტივაში და უფრო ფუნდამენტური სოციალური, ეკონომიკური ანალიზი და ა.შ“.

3. **თემატური სპეციალიზაციის არარსებობა:** სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზია ჟურნალისტთა სპეციალიზაციის არარსებობა. ჟურნალისტს, რომელსაც ყველა თემის გაშუქება უწევს, გაუჭირდება, რთულია, მოსთხოვო სათანადო კომპეტენცია რომელიმე ერთ სფეროში. თემატური სპეციალიზაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ჟურნალისტის აღჭურვას გარკვეული ცოდნითა და გამოცდილებით. კრიზისული სიტუაციების გაშუქებაში სპეციალიზებულმა ჟურნალისტმა იცის, ასეთ დროს როგორ მოიქცეს, როგორ დაიცვას უსაფრთხოების ნორმები, რა არის სენსიტიური საკითხი, რომლის გამჟღავნება მოწინააღმდეგე მხარის ინტერესში შეიძლება შედიოდეს. შესაბამისად, მისთვის ეს სფერო უცნობი არ არის და ის, გარკვეულწილად, მომზადებულია ასეთი მოვლენების გასაშუქებლად.

4. **პროფესიული სტანდარტების უგულებელყოფა:** ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სენსაციაზე ორიენტირება, ექსკლუზიურ მასალას და რეიტინგს გამოკიდება ჟურნალისტებს ხშირად პროფესიული სტანდარტების უგულებელყოფისკენ უბიძგებს.

ნოდარ ტანგიაშვილი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი: „ხშირად მათ უნდათ ექსკლუზივი და რეიტინგი და ავრცელებენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას... ისეთ სიუჟეტებს აკეთებენ, რომლებიც ფაქტებს არ ეყრდნობა და ვიღაცის მოსაზრებებს ავრცელებენ“.

ასევე, ხშირია სტიგმატიზება, იარლიყების მიწებება, სტერეოტიპების გაღვივება, რელიგიურ და ეთნიკური უმცირესობების დემონიზირება. ტერმინების არასწორად გამოყენება.

ეკა ჭითანავა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI): „ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები ხშირად არასწორად შუქდება. პრობლემაა ტერმინების არასწორად გამოყენება, მაგალითად „ისლამისტი ტერორისტი“. ხშირია პანკისის კონტექსტში საუბარი პოტენციურ ტერორიზმთან დაკავშირებით, რაც მათ სტიგმატიზაციას ახდენს“.

საფრთხე მედიის მხრიდან. ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ მედიის მხრიდან ტერორიზმის/ანტიტერორისტული ოპერაციის გაშუქება ზოგჯერ საფრთხეს თავად ოპერაციის განხორციელებას, გამოძიების პროცესს უქმნის .

ბექა ბაჯელიძე, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR): „[2008 წლის აგვისტოს] ომის დროსაც იყო ასეთი ფაქტები, როცა შუქდებოდა საომარი მდგომარეობები, კადრს უკან ჩანდა, რა ნომრის მანქანები რა მიმართულებით მიდიოდნენ. ასევე ჩანდა ქვეითი შენაერთების გადაადგილება. ამას, ცხადია, უყურებს მეორე მხარე და აანალიზებს ყველაფერს. საპასუხოდ, რუსულმა არხებმა მთლიანად გააყალბეს გაშუქება, დადგეს რაღაც მოგონილი სცენები“.

ნინო ნარიმანიშვილი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია: „მედიამ შეუქმნა საფრთხე [გაბრიელ სალოსის ქუჩაზე] სპეცოპერაციის[9] მიმდინარეობას, რადგან... მედია თავისუფლად გადაადგილდებოდა; აჩვენებდა კადრებს, რაც არ უნდა ეჩვენებინათ... გადასცემდა დეტალურ ინფორმაციას, რა ხდებოდა გარეთ, რომელი გზები არ იყო გადაკეტილი, სად იყვნენ სპეცრაზმელები. იქ მყოფ ადამიანებს ინტერნეტი რომ ჰქონოდათ, პირდაპირ ეთერში მიადევნებდნენ თვალს ყველაფერს. აქ მედიას სპეციალური ცოდნა, რეკომენდაცია ან გზამკვლევი სჭირდებოდა და ასევე უწყებებთან მეტი კოორდინაცია და კომუნიკაცია“.

თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ პასუხისმგებლობა, გარკვეულწილად, სახელმწიფო უწყებებს ეკისრება, რადგან კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელებისას ისინი მედიას ადეკვატურ შეზღუდვებს არ უწესებენ.

---

[9] 2017 წლის 21-22 ივნისს, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ანტი-ტერორისტული სპეც.ოპერაცია ჩატარდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ცნობით, ლიკვიდირებულია დანაშაულებრივი ჯგუფის სამი წევრი. ლიკვიდირებულთაგან ერთ-ერთი ახმედ ჩატაევი იყო. სუს-ის ინფორმაციით, ისნის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი პირები საქართველოსა და თურქეთში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებზე ტერორისტულ აქტებს გეგმავდნენ. https://bit.ly/2Nhc1A2; https://bit.ly/2Yk7gfE https://bit.ly/2V79AEK https://bit.ly/2Nfanz8

თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, სამოქალაქო იდეა: „თუ ჟურნალისტს ბარიერი არა აქვს შექმნილი და თავისუფალი მოძრაობის რეჟიმი აქვს, გაუგებარია რატომ უნდა გაჩერდეს, აქ ჩვენ ჟურნალისტს ხომ არ ვთხოვთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ რაღაც ისეთი დეტალი არ გაიპაროს ეთერში, რომელმაც შესაძლოა მთელი ოპერაცია ჩაშალოს, ეს ხელისუფლების პრობლემაა. ასეთ დროს რთულია გააკრიტიკო მედია“.

არაპროფესიონალური გაშუქების მიზეზები. ექსპერტთა უმრავლესობა იმაზეც თანხმდება, რომ კრიზისული ვითარებების არაპროფესიონალურ გაშუქებას ხელს უწყობს ოფიციალური უწყებების მხრიდან არასათანადო კომუნიკაცია/ინფორმაციული ვაკუუმი.

ალეკო კვახაძე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი: „ინფორმაციას როცა არ აწვდის მთავრობა, მერე ჟურნალისტიც იძულებული არის რაღაცა შემოვლითი გზები ნახოს“.

როგორც ექსპერტთა პასუხებიდან გაირკვა, ანტიტერორისტულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის ძირითადი ფორმა ინფორმაციის წერილობით გამოთხოვნაა. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ეს უწყებები გამორჩეულად დახურული სტრუქტურებია და მათთან კომუნიკაცია ძალიან სუსტია.

თუმცა, ერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის ნაკლებობა არ ათავისუფლებს მედიას პასუხისმგებლობისგან, კეთილსინდისიერად და ეთიკურად, პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით გააშუქოს მოვლენა.

4 სახელმწიფო უწყებების რეგულაციები და მექანიზმები: კომუნიკაციის პროტოკოლები, მედიასთან ურთიერთობის ფორმატები

როგორც ანგარიშის შესავალ ნაწილში აღინიშნა, კვლევა ითვალისწინებდა სტრატეგიულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების გამოკითხვას. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირისპირ ინტერვიუების ჩატარება ვერ მოხერხდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს-ი) კი მწირი ინფორმაცია წერილობით მოგვაწოდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დამატებით გამოიკითხნენ მედიის, უმცირესობების საკითხების, უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტები. სულ გამოიკითხა 11 ექსპერტი.

ექსპერტთათვის დასმული კითხვების მიზანი იყო ინფორმაციის მიღება კონტრტერორისტულ საქმიანობასა და სხვა კრიზისულ ვითარებებზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო აქტორებს შორის თანამშრომლობის და კომუნიკაციის მექანიზმებისა და არსებული პრაქტიკის შესახებ; ასეთ კომუნიკაციაში არსებული პრობლემების გამოვლენა და ასევე, ტერორისტული აქტების, ძალადობრივი ექსტრემიზმის თუ სხვა კრიზისული ვითარების მედიაგაშუქებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება.

ექსპერტთათვის დასმული კითხვები შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დაიყოს: ერთი ნაწილი ეხებოდა უშუალოდ პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებების საქმიანობას, ხოლო მეორე მედიის საქმიანობას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გაგზავნილი კითხვარის პასუხად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს-ი) მედიის განვითარების ფონდს წერილობით[10] აცნობა, რომ სუს-ის ადმინისტრაციაში არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, რომლის ფუნქციებში, მათ შორის, შედის: საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობა, თემატური შეხვედრების, პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მოწყობა, სუს-ში მიმდინარე პროცესების ამსახველი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება. წერილის თანახმად, ამ განყოფილების თანამშრომლები „ყოველდღიურად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ კომუნიკაციას როგორც ქართული, ისე უცხოური მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან.“ დებულების მე-13 მუხლის მ) პუნქტი, მოიცავს ისეთ საკითხებსაც, რომელიც სარედაქციო საკითხებში ჩარევის ნიშანს შეიცავს. კერძოდ, სუს-ის კომპეტენციად საზოგადოებრივ მაუწყებელთან და კერძო სამაუწყებლო კომპანიებთან ერთად ერთობლივი სატელევიზიო პროექტების შემუშავებაა განსაზღვრული:

[10] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი SSG 8 20 00037838. 05/03/2020.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულება[11]

მუხლი 13. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების კომპეტენცია:

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების კომპეტენციაა:

მ) საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო სამაუწყებლო კომპანიებთან ერთად ერთობლივი სატელევიზიო პროექტების შემუშავება.

ასევე, წერილით გვაცნობეს, რომ 2019 წლის ნოემბერში ორდღიანი მედიასემინარი – „მედიის როლი ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ ჩატარდა. ეს სემინარი სუს-ისა და ევროკავშირის პროექტის „საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა“ ორგანიზებით მოეწყო. სემინარის მიზანს წარმოადგენდა მედიის როლის განხილვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და აღნიშნული მიმართულებით მედიასა და სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. სემინარს ესწრებოდნენ სატელევიზიო, ონლაინ და ბეჭდური მედიის წარმომადგენლები, ხოლო სესიებს უძღვებოდნენ ექსპერტები გაერთიანებული სამეფოდან და საქართველოდან, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

უფრო დეტალური ინფორმაცია ამ სემინარის შესახებ სუს-ის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი,[12] რომლის თანახმადაც, სემინარზე განხილულ საკითხებს შორის იყო ტერორისტული ინციდენტების გაშუქების დროს მედიის მუშაობის სპეციფიკა, კონტრტერორისტული ოპერაციების დროს სამართალდამცავ უწყებებსა და მედიას შორის თანამშრომლობა, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე მედიასა და სამართალდამცავ უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები.

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგები

შიდაუწყებრივი კომუნიკაციის გზამკვლევი. ექსპერტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (6) არ იცის, აქვთ თუ არა სახელმწიფო უწყებებს შიდაუწყებრივი სტრატეგიული კომუნიკაციის გზამკვლევი, რომლითაც სახელმწიფო უწყებები კრიზისული ვითარებების/ანტიტერორისტული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობენ.

ნოდარ ტანგიაშვილი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი: „ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ [სახელმწიფო უწყებებს] ჰქონდეთ კრიზისული კომუნიკაციების გეგმა, იმიტომ, რომ კომუნიკაცია სრულიად განსხვავებულია კრიზის დროს და მე როგორც ვიცი, ეს გეგმა უწყებებს არა აქვთ.“

[11] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის დებულება; https://bit.ly/2Fvc1ff

[12] https://bit.ly/2Q3jDb4

თუმცა, ექსპერტებმა ასეთი დოკუმენტის არსებობა დახურული ფორმით არ გამორიცხეს. ერთი ექსპერტის თქმით, ყველა უწყებაა ვალდებული, ასეთი დოკუმენტი ჰქონდეს:

თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, „სამოქალაქო იდეა“: „ის ფაქტი, რომ არსებობს მთავრობის აქტი სტრატეგიული კომუნიკაციების მოწესრიგების თაობაზე, გვაფიქრებინებს, რომ წესით, ყველა უწყებას თავისი შიდა აქტი დამტკიცებული უნდა ჰქონდეს, თუმცა საჯარო წვდომა ყველაზე არ არის და ასე მტკიცებით ფორმაში ვერ ვიტყვი“.

დასახელდა ერთი უწყება – თავდაცვის სამინისტრო, რომელსაც შიდა კომუნიკაციის დოკუმენტი შემუშავებული აქვს და საჯაროდაც არის ხელმისაწვდომი.[13] თუმცა, ეს დოკუმენტი თავდაცვის მიმართულებით სტრატეგიის კომუნიკაციაზეა ორიენტირებული. მეტიც, დოკუმენტის „რეკომენდაციების და რისკების“ ნაწილში წერია: „აღნიშნული დოკუმენტი მორგებულია მშვიდობიან, არაკრიზისულ ვითარებას. მიზანშეწონილია, შემუშავდეს კრიზისული კომუნიკაციის სახელმძღვანელო და განისაზღვროს სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობა და როლი კრიზისულ და საომარ სიტუაციებში.“

ერთი ექსპერტის თქმით, უწყებებს სრულად არ აქვთ გათვითცნობიერებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ კომუნიკაციას.

თეონა აქუბარდია, საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი: „მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს სხვადასხვა უწყებებში სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტები შეიქმნა, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ პრობლემა არის სტრატეგიის კომუნიკაციის არსის აღქმა უწყებებისთვის“.

მხოლოდ ერთმა ექსპერტმა (შორენა ლორთქიფანიძე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი) აღნიშნა, რომ 2014 წლიდან აქტიური სამუშაო მიმდინარეობდა სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის დოკუმენტის ფორმირებაზე და მისი ინფორმაციით, ეს დოკუმენტი არსებობს, თუმცა ეროვნულ დონეზე.

თანამშრომლობის ფორმატები. არაერთგვაროვანი იყო პასუხები კითხვაზე, **არსებობს თუ არა მედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის მუდმივი ან დროებითი ფორმატი, რომელიც სახელმწიფო უწყებებსა და არასახელმწიფო აქტორებს შორის ინფორმაციის მუდმივ გაცვლას უწყობს ხელს**.

თუ ერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ სუს-თან თანამშრომლობის არავითარი ფორმატი არ არსებობს, მეორის აზრით, სუს-ი მხოლოდ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ეგრეთ წოდებულ „გონგოებთან“ თანამშრომლობს და ეს ილუზორული თანამშრომლობა გამიზნულია სხვებისთვის, მათ შორის უცხოელ პარტნიორებისთვის საჩვენებლად.

ბათუ ქუთელია, საქართველოს ატლანტიკური საბჭო: „კი არსებობს, ოღონდ ეგ არის მორგებული მთავრობის კომფორტზე, ანუ ჰყავთ ის არასამთავრობო ორგიზაციები, რომლებსაც გონგოებს ვეძახით ანუ მათდამი ლოიალურად განწყობილი. ამით ვიღაცეებს ანახებენ, შეიძლება

[13] თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020; https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/strategia_geo.pdf

უცხოელ პარტნიორებსაც, რომ ვითომ აქვთ, მაგრამ რეალურად არ აქვთ... ამბობენ, რომ საჯაროა, მაგრამ პატიჟებენ მხოლოდ ამ გონგოებს, მათდამი ლიალურად განწყობილ ვითომ არასამთავრობოებს, „სამთავრობო არასამთავრობოებს““.

მესამე ექსპერტი კი, ასეთი ფორმატის აუცილებლობას ვერ ხედავს, ვინაიდან:

გიორგი გოგუაძე, ტერორიზმის კვლევითი ცენტრი: „დღეისათვის უშუალოდ ტერორიზმი და ტერორისტული თავდასხმა საქართველოსთვის, როგორც ყოველდღიური გამოწვევა, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისთვის (მაგალითად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები) არ დგას. საჭიროება მუდმივმოქმედი საბჭოს ან კომიტეტის (სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის) რომელიც უშუალოდ ტერორიზმის მიმართულებით იმუშავებს ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, არ დგას. ჩემი აზრით, მგავსი ფორმატი საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს“.

ამავე ექსპერტის მოსაზრებით, მსგავსი ფორმატი კარგი და აუცილებელი იქნებოდა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით (რომელსაც ყოველთვის ტერორიზმამდე არ მივყავართ), სადაც სამოქალაქო სექტორს ბევრად დიდი რესურსით შეუძლია პროცესში ჩართვა.

ორმა ექსპერტმა სამოქალაქო სექტორთან ერთჯერადი თანამშრომლობის შემთხვევა გაიხსენა, კერძოდ, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა კონტრეტერორიზმის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ერთ-ერთი მათგანის თქმით, არასამთავრობოებს სტრატეგიის პროექტი გააცნეს, პროექტთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები მოისმინეს და შენიშვნების ნაწილი სტრატეგიაში გაითვალისწინეს. თუმცა მეორე ექსპერტი ამ ტიპის თანამშრომლობას არასაკმარისად მიჩნევს.

ნოდარ ტანგიაშვილი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი: „როდესაც ეს სტრატეგია მოამზადა სუს-მა, მე ვიცი, რომ ის შეხვდა არასამთავრობო სექტორს, გააცნო სტრატეგიის პროექტი, მაგრამ ეს არ არის საუკეთესო პრაქტიკა, ვინაიდან სტრატეგიის პროექტს კი არ უნდა აცნობდე, არამედ დიალოგი უნდა იმართებოდეს ყველა ეტაპზე, ყველა საკითხზე – სიტუაციის ანალიზი, კონკრეტული პროგრამები, გამოსავლის ძიება, ინტერვენციები“.

ექსპერტთა ერთი ნაწილის (3) თანახმად, თანამშრომლობის ფორმატების ჩამოყალიბება 2005 წლიდან დაიწყო. სხვადასხვა სამინისტროში და პარლამენტში არსებობს მუდმივმოქმედი ორგანოები კომისიის, საზოგადოებრივი ან თემატური საბჭოს თუ სხვა ფორმით, რომლებშიც სამოქალაქო სექტორია წარმოდგენილი. თუმცა, ამ სამიდან ორი ექსპერტის თქმით, სუს-თან თანამშრომლობის რაიმე ინსტიტუციონალიზებული ფორმატი არ არსებობს.

თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, სამოქალაქო იდეა: „სუს-ში არც არასდროს ყოფილა და, სიმართლე გითხრათ, რთულად წარმომიდგენია ამ ტიპის სახელმწიფოში, როგორიც ჩვენ გვაქვს, ასეთი საბჭოს სუს-ში არსებობის შესაძლებლობა“.

კომუნიკაციის კოორდინაცია. რაც შეეხება მოსაზრებებს, თუ **რომელი სახელმწიფო უწყებაა კომუნიკაციის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი კრიზისული ვითარების / ანტიტერორისტული ოპერა-**

ციის დროს, ექსპერტთა უმრავლესობას ასეთ უწყებად სუს-ი (მისი საინფორმაციო, ანალიტიკური დეპარტამენტი და პრესცენტრი) მიაჩნია.

ასევე, გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ კომუნიკაციის კოორდინაციაზე პასუხისმგებლობის ხარისხი კრიზისის ხასიათსა და მასშტაბზეცაა დამოკიდებული: ზოგადი პასუხისმგებლობა სტრატეგიულ კომუნიკაციაზე ეკისრება მთავრობას, ხოლო შემდეგ, ტაქტიკურ დონეზე, შესაბამის უწყებას, რომელსაც კონკრეტული კრიზისი ეხება.

თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, სამოქალაქო იდეა: „ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, პრემიერი და მისი ოფისი არის პასუხისმგებელი სტრატეგიულ კომუნიკაციაზე და შესაბამისად, მისი ნაწილია კომუნიკაცია მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან“.[14]

რამდენიმე ექსპერტის აზრით, კომუნიკაციის მაკოორდინირებელი ორგანო უშიშროების საბჭო ან კრიზისების მართვის საბჭო უნდა იყოს.

ბათუ ქუთელია, საქართველოს ატლანტიკური საბჭო: „ყველა კრიზისს, ანტიტერორისტულს თუ არაანტიტერორისტულს, თავისი სპეციფიკა აქვს. აქედან გამომდინარე, არსებობს კრიზისის სხვადასხვა განზომილებები – ეკონომიკური თუ ბიოტერორიზმია, ჯამრთელობის პრობლემებიცაა, ამიტომაც არცერთი კრიზისი არ არის ერთი რომელიმე უწყების პრობლემა“.

პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, სამთავრობო უწყებების პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, მათ შორის დიდ ბრიტანეთთან, აშშ-სთან, გერმანიასთან, ორი ათეული წელია აქვს. პარტნიორი ქვეყნები მნიშვნელოვან მატერიალურ და ინტელექტუალურ დახმარებას უწევენ ქართულ მხარეს. ასევე აღინიშნა, რომ წლების განმავლობაში მრავალი ტრენინგი ჩატარდა სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით; მოეწყო სასწავლო ტურებიც, მათ შორის, დიდ ბრიტანეთსა და ფინეთში.

თუმცა, ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ქართული მხარე ამ გამოცდილებას სათანადოდ არ ითვალისწინებს.

ბათუ ქუთელია, საქართველოს ატლანტიკური საბჭო: „უცხოელი პარტნიორების რჩევით... შექმნეს სტრატკომები ყველა უწყებაში, მაგრამ რეალურად ამ უწყებრივ სტრატკომებს, როგორც გარედანაც შეუიარაღებელი თვალით ჩანს, ერთმანეთთან ლაპარაკის პრობლემაც ჰქონდათ და აღარ ვსაუბრობ უკვე რაღაცნაირ სტრატეგიის დასახვაზე“.

მუდმივი სპიკერი. კითხვას, **ჰყავთ თუ არა საჯარო უწყებებს გამოყოფილი მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი მუდმივი პირი, თუ ასეთი პირის შერჩევა თემატიკიდან**

[14] გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის იანვარ-მარტში და შესაბამისად, ასახავს იმ პერიოდში არსებულ ვითარებას.

გამომდინარე მედიის ინტერესების შესაბამისად ხდება, ყველა ექსპერტმა უპასუხა, რომ მუდმივი პასუხისმგებელი პირი ყველა უწყებას ჰყავს. ერთი ექსპერტის თქმით, სახელმწიფო უწყებებს კანონმდებლობა ავალდებულებს, ჰყავდეთ მუდმივი საკომუნიკაციო პირი. ამისთვის არის სპეციალურად ერთი ადამიანი გამოყოფილი უწყებაში ან ამ ფუნქციას ასრულებს უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სეგმენტის ხელმძღვანელი.

თუმცა, ზოგმა ისიც განაცხადა, რომ ყველა უწყება ერთი სტანდარტით არ მოქმედებს და კრიზისის ხასიათიდან და სიმწვავიდან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის პირები ითავსებენ სპიკერის ფუნქციას.

შორენა ლორთქიფანიძე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი: „ერთ რამეს უნდა დავაკვირდეთ – გააჩნია, რა დონის კრიზისზეა საუბარი; არსებობს კრიზისის რაღაც დონე, სადაც უმაღლესი თანამდებობის პირის ჩართულობაა მნიშვნელოვანი“.

ერთი ექსპერტის აზრით კი, სამინისტროების დონეზე ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული და თვითონ მინისტრები გვევლინებიან სპიკერებად, რაც, ექსპერტის აზრით, სერიოზული პრობლემაა.

კომუნიკაციის ინტენსივობა. ყველა ექსპერტს მიაჩნია, რომ **კრიზისული ვითარებების დროს მედიასთან/საზოგადოებასთან კომუნიკაცია ინტენსიური უნდა იყოს**. თუმცა, კომუნიკაციის სიხშირესთან დაკავშირებით რაიმე „ოქროს წესი“ ან „რეცეპტი“ არ არსებობს და მისი ინტენსივობა კრიზისის სიმძაფრეზეა დამოკიდებულია. მაგალითად, ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ანტიტერორისტული ოპერაციის დროს კომუნიკაცია ბრიფინგების სახით დღეში რამდენჯერმე იყო საჭირო. ამავე ექსპერტს მიაჩნია, რომ კომუნიკაციას მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ალეკო კვახაძე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი: „კომუნიკაცია არაკრიზისულ დროსაც უნდა ხდებოდეს იმ რეგიონებში, სადაც არის ამ იდეოლოგიისა და ტერორიზმის გავრცელების უფრო დიდი რისკი. იქაურ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან აქტიურად უნდა მუშაობდეს ძალოვანი უწყება, ოღონდ ღია ფორმატით“.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შესაბამისმა უწყებებმა ოფიციალური პოზიცია უმოკლეს ვადაში უნდა მიაწოდონ მედიას, რათა არ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები და თავიდან იქნეს აცილებული ფაქტებით მანიპულაცია, დეზინფორმაციის გავრცელება, სხვადასხვა ინტერპრეტაცია, პანიკის დათესვა, ინფორმაციული შიმშილი.

განხილვის ფორმატები. კითხვას, **ხდება თუ არა ღია წყაროებით გამოვლენილი საკითხების განხილვა მედია/არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ფორმატში ასეთი ფორმატის არსებობის შემთხვევაში**, ექსპერტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ასეთი ფორმატი არ არსებობს ან არ ახსენდება.

ერთმა ექსპერტმა „რაღაც ფორმატები“ გაიხსენა, რომელთა ფარგლებშიც არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის დეზინფორმაციის საკითხზე სამსჯელოდ იკრიბე-

ბიან. მეორეს კი „რამდენიმე“ შემთხვევა გაახსენდა და მაგალითად მოიყვანა თავდაცვის მინისტრის მიწვევით არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრა, რომელიც ჯარში ახალწვეული აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქის ცემის ფაქტს ეხებოდა. ამ საკითხის მოგვარებაში ეთნიკურ უმცირესობებზე მომუშავე არასამთავრობოები იყვნენ ჩართული.

ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ ასეთი მუდმივმოქმედი ფორმატი პარლამენტში 2016 წელს შეიქმნა და ქაღალდზე არსებობს. „რეალურ ცხოვრებაში რამდენად არსებობს... ეს არ ვიცი, თორემ ქაღალდისთვის ის მუდმივია“, თქვა მან.

პრობლემები სახელმწიფო უწყებების კომუნიკაციაში. ექსპერტთა პასუხებით კითხვაზე, რა პრობლემებს ხედავენ კრიზისული ვითარების/ანტიტერორისტული ოპერაციების დროს სახელმწიფო უწყებების მხრიდან კომუნიკაციის კუთხით, შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

1. **ინფორმაციის დეფიციტი:** ინფორმაციის დამალვა და დეფიციტი ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დასახელდა, რადგან ეს ნოყიერ ნიადაგს ქმნის სპეკულაციებისა და სხვადასხვა ინტერპრეტაციისთვის და ხშირად იწვევს პანიკას.
2. **კომუნიკაციის ნაკლებობა/ხარვეზები და კოორდინაციის არარსებობა:** პრობლემებს შორის დასახელდა: კომუნიკაციის დაგვიანება, არათანმიმდევრულობა და შეუთანხმებლობა. კომუნიკაციის ბუნდოვანება – ნათელი გზავნილების და მკაფიო განმარტებების არარსებობა. შესაბამისი სპიკერის შერჩევის პრობლემა. ასევე, ერთიანი კოორდინირებული მიდგომის არარსებობა – არაკოორდინირებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მესიჯების გავრცელება, რაც იწვევს დაბნეულობას.
3. **მედიისთვის სტანდარტების განსაზღვრის, სპეციფიკური ტრენინგების ნაკლებობა.** არ არის დადგენილი კრიზისულ ვითარებაში მედიის საქმიანობის, მათ შორის ჟურნალისტთა უსაფრთხოების სტანდარტები. შედეგად, მედიამ შესაძლოა დააზიანოს ოპერაცია ან ხელი შეუწყოს პანიკის გავრცელებას. ჟურნალისტური ტრენინგის საჭიროება.
4. **კრიზისული ვითარებებისთვის მოუმზადებლობა: სახელმწიფო უწყებებში პანიკის შესაჩერებელი მექანიზმის არარსებობა.** ასევე, უწყებების მხრიდან ალტერნატიული ინფორმაციის მიწოდების პრობლემა, დეზინფორმაციის ან მცდარი ინფორმაციის საპირწონედ. ასეთ დროს ხელისუფლების წარმომადგენელი უნდა გამოვიდეს და დამაჯერებლად უარყოს არასწორი ინფორმაცია. სპეციფიკური სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა მედიის მუშაობისთვის.
5. **ღირებულებითი ფილტრის არარსებობა:** ისეთი გზავნილების კომუნიკაცია, რომლებიც არადემოკრატიული სახელმწიფოების პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება.

თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, სამოქალაქო იდეა: „როდესაც ხელისუფლებას ეს ღირებულებითი ფილტრი არა აქვს, სტრატეგიულ კომუნიკაციაში, ის ხდება უბრალოდ დამხმარე იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც სწორედ ამ გზავნილების გავრცელებას ცდილობენ. მთავარი პრობლემა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ კომუნიკაციებში არის ის, რომ ხან გაუცნობიერებლად და ხან გაცნობიერებულად ღირებულებითი აცდენა გვაქვს ხოლმე ამ გზავნილებში“.

5 რეკომენდაციები

მედია

- მედია ორგანიზაციებმა შეიმუშაონ კრიზისული ვითარების გაშუქების შიდასარედაქციო გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ასეთი მოვლენების დროს პროფესიული საქმიანობის შესრულების პროცედურა და ქცევის წესები.
- კრიზისული ვითარების გაშუქების შიდასარედაქციო გზამკვლევი მომზადდეს ეროვნული (ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის „ტერორიზმის გაშუქება“, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ თავი XIII. შეიარაღებული დაპირისპირება, უბედური შემთხვევები, საგანგებო ვითარება) და საერთაშორისო მედია რეგულაციების, აღიარებული ჟურნალისტური სტანდარტების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- მედია ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ყველა ჟურნალისტის მიერ შიდასარედაქციო გზამკვლევში აღწერილი პროცედურის და წესების დაცვა.
- ჩაუტარდეს ჟურნალისტებს ტრენინგები ტერორიზმის, რადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმის და სხვა კრიზისული ვითარებების გაშუქების პრინციპებსა და პროფესიულ სტანდარტებში, ასეთ ვითარებების დროს ქცევის საკითხებში. მედიასაშუალებებმა კრიზისული ვითარებების გაშუქების შემდეგ მოაწყონ დისკუსიები და გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება. ასევე მოეწყოს დისკუსიები ფართო პროფესიულ და საზოგადოებრივ ჯგუფებთან.
- მოხდეს ჟურნალისტთა თემატური სპეციალიზაცია. მედია ორგანიზაციამ გამოყოს, სულ ცოტა, ერთი ჟურნალისტი და უზრუნველყოს მისი მომზადება ტერორიზმის, რადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმის და სხვა მსგავსი კრიზისული ვითარებების გაშუქების მიმართულებით. თემატური სპეციალიზაცია ხელს შეუწყობს შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების დაგროვებას მედიაორგანიზაციაში და ასეთი საგანგებო მოვლენების თუ საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას.

მედია სკოლები

- ჟურნალისტიკის სკოლებმა გაიზიარონ ტერორიზმის, რადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმის და სხვა მსგავსი კრიზისული ვითარებების გაშუქების სტანდარტები. მოხდეს მათი ინტეგრირება სასწავლო კურიკულუმებში, რათა არა მარტო მოქმედ, არამედ მომავალ ჟურნალისტებსაც ჰქონდეთ წვდომა და ცოდნა ამ სტანდარტებზე. საერთაშორისო აკადემიური დაწესებულების

მიერ შემუშავებული მეთოდოლგიის მიხედვით გაკეთდეს შესაბამისი სასწავლო სილაბუსი და ასევე "case study"-ები. ასევე დამუშავდეს საქართველოში მომხდარი "case"-ები და მომზადდეს შესაბამისი "case study" მასალა.

- ჟურნალისტიკის სკოლებმა შეიმუშაონ მოკლე სასწავლო კურსი იმ პროფესიული ჯგუფებისათვის, რომლებიც ჩართული არიან კრიზისულ სიტუაციებში, რათა მათ უკეთ გაიგონ მედიის წინაშე მდგარი ამოცანები.

არასამთავრობო და პროფესიული მედია ორგანიზაციები

- არასამთავრობო და პროფესიულმა მედია ორგანიზაციებმა გააგრძელონ მუშაობა/და კოორდინირებულად ითანამშრომონ ჟურნალისტთა პროფესიული განვითარებისთვის, როგორც საგანმანათლებლო რესურსების მომზადების, ასევე მათი პროფესიული წვრთნისა და კონსულტაციების კუთხით, რაც საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვაზე იქნება ორიენტირებული.
- ხელი შეუწყონ როგორც საზოგადოების, ასევე თავად მედიასაშუალებების ინფორმირებას ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების, ასევე მედიის თვითრეგულირების მექანიზმების შესახებ, რაც საზოგადოების წინაშე პროფესიის ანგარიშვალდებულების კულტურის დამკვიდრებას წაახალისებს.
- შეიქმნას შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაცემთა ბაზა, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ მედიის წარმომადგენლებს ტერორიზმის, რადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმის და სხვა მსგავსი მოვლენების გაშუქების დროს.

სახელმწიფო უწყებები

- სახელმწიფო უწყებებმა შეიმუშაონ შიდაუწყებრივი სტრატეგიული კომუნიკაციის გზამკვლევი, რომლითაც იხელმძღვანელებენ კრიზისული ვითარებების დროს.
- შესაბამისმა პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა შეიმუშაონ კრიზისული ვითარებების, ანტიტერორისტული ოპერაციების, სხვა საგანგებო ვითარების დროს, ასევე, ანტიტერორისტული საქმეების გამოძიების მიმდინარეობისას საზოგადოებისთვის პროაქტიულად დროული და სრულფასოვანი ინფორმაციის უწყვეტად მიწოდების პროცედურა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ასეთი კომუნიკაციის წესი, კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი ან პირები, ყველა მედიასაშუალებისთვის წვდომის არადისკრიმინაციულად უზრუნველყოფის წესი, სხვა მსგავსი საკითხები.
- თანაბრად და შეძლებისდაგვარად, მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკაზე დაფუძნებული სელექციური მიდგომის გარეშე, უზრუნველყონ სრულყოფილი ინფორმაციის დროულად მიწოდება ყველა მედიასაშუალებისთვის.
- შეიმუშაონ არასახელმწიფო აქტორებთან (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი) რეგულარული თანამშრომლობის ფორმატი, რათა მოხდეს ინფორმაციის რეგულარული (არა მარტო კრიზისის დროს) გაცვლა და აქტუალური საკითხების განხილვა, მათ შორის, სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის შესაბამისად და მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესახებ ყველა აქტორის, მათ შორის მედიის, ინფორმირება მოახდინონ.

- ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პოლიტიკური, სტრატეგიული და ტექნიკური კომუნიკაცია. ამისათვის, ტერორისტული აქტებისა და კონტრტერორისტული ოპერაციების დროს ჟურნალისტებთან კომუნიკაციისთვის (ინტერვიუები, პრესკონფერენციები) spokesperson-ები განისაზღვროს ორ დონეზე:
  - ა) **ტაქტიკური** – კონტრტერორისტული ან საპოლიციო ძალების წარმომადგენელი, ოფიცერი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი მედიისთვის მომხდარი ფაქტის/მიმდინარე ოპერაციის შესახებ ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის და იმ მომენტისთვის ცნობილი ფაქტების მაქსიმალურად ოპერატიულად მიწოდებაზე (მაგ. შემთხვევის ზუსტი ადგილი, მსხვერპლის/დაშავებულების რაოდენობა, შემთხვევის რაობა/ სსკ-ის მუხლი, მიმდინარე გამოძიების სტატუსი, სპეცოპერაცია, ჩართული უწყება/უწყებები და ა.შ);
  - ბ) **სტრატეგიულ-ოპერატიული დონე** – მაღალი დონის საჯარო მოხელე ან პოლიტიკური თანამდებობის პირი (სუს-ის უფროსის მოადგილე, ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან ეროვნული საბჭოს მდივანი/სამდივნოს წარმომადგენელი, საკითხის შესაბამისად[15]), რომელიც ჩართული და ინფორმირებული იქნება უწყებათშორისი ან/და შიდაუწყებრივი როგორც ტაქტიკური და ოპერატიული, ისე სტრატეგიულ-პოლიტიკური საკითხების განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე და პარალელურად, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მედიის მონიტორინგის სამსახურიდან ინფორმირებული იქნება მედიის მიერ თემის მიმდინარე გაშუქების სტატუსის და მედიის მიერ წამოჭრილი საკითხების, საინფორმაციო სიცარიელეების და არსებული კითხვების თაობაზე. მას ექნება შესაბამისი მაღალი დონის უნარები, კომპეტენცია და უფლებამოსილება ისეთი ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციის საწარმოებლად, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს უსაფრთხოების ინტერესების დაუზიანებლად.
- სუს-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისთვის განისაზღვროს მხოლოდ სუს-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და უწყების ზოგადი საზოგადოებრივი, მედია და პოლიტიკური ხასიათის კომუნიკაცია არაკრიზისულ პერიოდში.
- სუს-მა შეიმუშაოს სტანდარტული ოპერატიული პროცედურები და ნუსხა, თუ ჟურნალისტებისთვის რა სახის ინფორმაციის მიწოდება მიიჩნევა „უსაფრთხოდ“ გამოძიებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით.
- ბრიტანული COBR-A-ის სისტემაზე დაყრდნობით და ბრიტანეთის მთავრობის დახმარებით შექმნილი კრიზისების მართვის შესაბამისი ცენტრის გამოყენებით, ჩატარდეს რეგულარული უწყებათშორისი და ინტერსექტორული ვარჯიშები/წვრთნები ტერორისტული საფრთხეების სცენარებზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რეაგირებაში ჩართული ყველა ძალის (საპოლიციო, სამაშველო, სახანძრო, სასწრაფო, შსს-ის და სუსის კონტრტერორისტული, თავდაცვის სპეცდანიშნებულების და სხვა) ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული რგოლები, ჟურნალისტები, ექსპერტები, პრემიერ-მინისტრის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, უშიშროების საბჭოს სამდივნო და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. ვარჯიშების დროს

[15] ზოგადად აპრობირებული მიდგომაა, ინციდენტის მნიშვნელობის/ზიანის და პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური რისკების გათვალისწინებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი განსაზღვრავდეს, ეს რჩება ერთი უწყების საკითხად თუ მისი გადაჭრა გადადის ეროვნული დონეზე – ეროვნული უშიშროების საბჭოში, პრემიერის ხელმძღვანელობით.

პრაქტიკაში დაიტესტება შემუშავებული როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე მედიის შიდა რეგულაციები და პროფესიული პრაქტიკა, განისაზღვრება ტერიტორისტული აქტებისა და კონტრტერიტორისტული ოპერაციების დროს წამოჭრილი რიგი საკითხები/გამოწვევები, რაც გავლენას ახდენს/აფერხებს ეფექტიან კომუნიკაციას და გაუმჯობესდება როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია, ისე სახელმწიფოსა და მედიას შორის დემოკრატიული, საზოგადოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

- უზრუნველყონ ასეთი თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ არასახელმწიფო აქტორთან სელექციურობის გარეშე.
- შეიმუშაონ დროული, თანმიმდევრული, მკაფიო და კოორდინირებული კომუნიკაციის პროცედურა.
- განისაზღვროს კომუნიკაციის მაკოორდინირებელი უწყება, ასევე კომუნიკაციის კოორდინირების დონეები.
- შესაბამის არასახელმწიფო აქტორებთან თანამშრომლობით დადგინდეს კრიზისული ვითარების დროს ჟურნალისტთა ქცევის სტანდარტები (მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი მხრიდან ოპერაციების მიმდინარეობისას ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად, სხვა).
- შესაბამისმა უწყებებმა შეისწვლონ ის პრობლემები, რომლებიც სათანადო პროცედურების არარსებობის გამო, მედიის მიერ ინფორმაციის მოპოვებას და კრიზისული ვითარების ხარისხიან გაშუქებას აფერხებს და კვლევებზე დაყრდნობით დასახონ გზები სახელმწიფო სამსახურებში კომუნიკაციების კუთხით არსებული პრობლემების დასაძლევად.
- შესაბამისმა სახლმწიფო უწყებამ შექმნას ერთიანი „ცხელი ხაზი“, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ამოქმედდება და ჟურნალისტებისთვის იქნება ხელმისწავდომი.

დანართები

დანართი #1. მედია საშუალებები

ეროვნული დაფარვის ტელევიზიები

1. გურამ როგავა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“
2. ლევან კვატაშიძე, ტელეკომპანია „იმედი“
3. ქეთი თუთბერიძე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
4. ანუნა ახალაია, ტელეკომპანია „პირველი“
5. ეკა ლემონჯავა, „პალიტრა ტვ“
6. ნათია ტრაპაიძე, ტელეკომპანია „მთავარი არხი”
7. დავით ქაშიაშვილი, ტელეკომანია „ფორმულა“
8. დეა მამისეიშვილი, ტელეკომპანია „მაესტრო“

ონლაინ მედია

9. თაზო კუპრეიშვილი, „ნეტგაზეთი“
10. აკა ზარქუა, „ტაბულა“
11. გელა ბოჩიკაშვილი, on.ge

რეგიონული მედია

12. გიორგი წეროძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
13. გელა მთივლიშვილი, „პანკისის სათემო რადიო“
14. ეთერ თურაძე, „ბათუმელები“
15. თინათინ ზაზაძე, „სამხრეთის კარიბჭე“

საერთაშორისო მედია

16. მაკა ანთიძე, როიტერსი
17. სოფო მეგრელიძე, AP (Associated Press)
18. ნინო ხარაძე, რადიო თავისუფლების ქართული სამსახური
19. ონიკ ჯეიმს კრიკორიან, დამოუკიდებელი ჟურნალისტი

დანართი #2. სახელმწიფო უწყებები

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტი
5. საქართველოს პროკურატურა
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
7. სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
8. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112
9. საქართველოს დაზვერვის სამსახური
10. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო
11. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი

დანართი #3. ექსპერტები

მედია და უმცირესობის საკითხების ექსპერტები

1. ბექა ბაჯელიძე, „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი IWPR“
2. ნინო ნარიმანიშვილი, „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“
3. ეკა ჭითანავა, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი TDI“
4. თამთა მიქელაძე, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“

უსაფრთხოების და სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტები

1. ბათუ ქუთელია, „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“
2. თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, „სამოქალაქო იდეა“
3. თეონა აქუბარდია „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი“
4. შორენა ლორთქიფანიძე, „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“
5. ალეკო კვახაძე, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“
6. გიორგი გოგუაძე, „ტერორიზმის კვლევითი ცენტრი“
7. ნოდარ ტანგიაშვილი, „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი“